




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 143



2016 წლის 19 დეკემბერი

ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის
პროგრამის დამტკიცების შესახებ

ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის პოპულარიზაციის, ფოლკლორის განვითარების, კულტურული და საგანმანათლებლო დონის ამაღლების, ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენის, ხელშეწყობის და წახალისების მიზნით საჭიროა დამტკიცდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის 2017 წლის პროგრამა“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის 2017 წლის პროგრამა საერთო ბიუჯეტით **182 700** (ას ოთხმოცდაორი ათას შვიდასი) ლარი დანართი №1 შესაბამისად (თან ერთვის ერთ ფურცლად).
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მ. კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მოქმედების სფერო მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ შემდეგ ობიექტებს: ქ. ხაშურში – ორ კულტურის ცენტრს (რუსთაველის ქ.№6 და თამარ მეფის ქ.№14), დაბა სურამში და სოფელ ქვიშხეთში კულტურის ცენტრებს.

პროგრამის ძირითადი მიმართულებები:

- ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის პოპულარიზაცია.
- ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა.
- კულტურული და საგანმანათლებლო დონის ამაღლება.
- ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენა, მათი ხელშეწყობა და წახალისება.
- თანამედროვე მუსიკის კონცერტების მოწყობა.

პროგრამის ბიუჯეტი

განისაზღვროს ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები 182 700 ლარის ოდენობით:

პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

- ხელოვნების, აგრეთვე ქართული ფოლკლორის განვითარება და პოპულარიზაცია.
- მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების განვითარება და ხელოვნებით დაინტერესებულ პირთა რაოდენობის ზრდა.
- ახალგაზრდობის ჩამოშორება ქუჩის მავნე ჩვევებისაგან, მათი გემოვნების დახვეწა და ინტელექტუალური შესაძლებლობები

შეფასების ინდიკატორი:

- ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;
- კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა;
- კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.